ქართული დოკუმენტური კინო და რეზო თაბუკაშვილის ტრილოგია- ,,კვალი ნათელი"; ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი"; ,,შორიელთა სიახლოვე".

Georgian Documentary Cinema and Rezo tabukashvili's Trilogy: ,,The Trail is Clear"; ,,Georgia's Potter"; ,,Closeness of Distance'.

ასმათ წერეთელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის

დოქტორანტი

ელ.ფოსტა: asmat.tsereteli@ciu.edu.ge.

ტელ: 577 01 77 94

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2025.56.03

აბსტრაქტი

ყველა დროში სინამდვილე ყოველგვარ ფანტაზიას სჯობნის - ადამიანის აზრის გაქანებით, სიღრმეების წვდომით, ემოციურობით, ესთეტიკური ხიბლითა და თუნდაც მკაცრი რეალობით. ვერავითარი ფანტაზია ვერ აღაფრთოვანებს და ვერ დააფიქრებს საზოგადოებას ისე, როგორც დოკუმენტური სინამდვილე. ამიტომ დოკუმენტურ ხელოვნებას განსაკუთრებული დაფასება სჭირდება. სინამდვილის ნატურალისტური უტყუარობით ასახვა უნდა იყოს დოკუმენტური კინოს მთავარი პრინციპული პოზიცია და არა იდეოლოგიზებული შელამაზება. ხელოვანმა, დოკუმენტური ფილმის ავტორი იქნება ის, თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი - პირველმა უნდა დაინახოს პრობლემა, სხვას დაასწროს და ატეხოს განგაში. ყველაზე დიდ ზიანს საზოგადოებას გულგრილობა და ნიჰილიზმი აყენებს, რომლის

არდაშვების ბერკეტი, სწორედ, ხელოვნებას გააჩნია. ხელოვნებაში რაოდენობა არაფერს ნიშნავს, ხარისხი კი - ყველაფერს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ეტაპების ჩვენება და მისი მთავარი მახასიათებლების განხილვა რეზო თაბუკაშვილის ტრილოგიის-**„კვალი ნათელი“, „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ და „შორიელთა სიახლოვე“-ს** მაგალითზე. მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ისტორიული კვლევის ანალიზთან ერთად წარმოადგენს კონტენტ-ანალიზისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები. კვლევის ძირითადმა შედეგებმა ცხადყო, რომ ქართული დოკუმენტური კინოს გავლენა მე-20 საუკუნის ქართულ სინამდვილეზე, უდაოდ დიდია და ასევე, დოკუმენტური კინო ითვლება ეროვნული კინემატოგრაფიის ჩამოყალიბების წინამორბედად. ნაშრომში დასკვნის სახით, ჩვენს მიერ, წარმოდგენილია რეკომენდაციები ქართულ დოკუმენტურ კინოში სწორხაზოვნებისა და თემების გამრავალფეროვნების პრობლემასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: დოკუმენტური კინო, სცენარი, ხმა, მუსიკა.

Annotation

At all times, reality surpasses all imagination - by stretching human thought, reaching depths, emotionality, aesthetic appeal and even harsh reality. No fantasy can excite and make the public think like documentary reality. That is why documentary art needs special appreciation. The main principle position of documentary cinema should be to portray reality with naturalistic infallibility and not to embellish it with ideologies.Whether an artist, a documentary film author or a representative of another field - he must be the first to see the problem, attend to others and sound the alarm. The biggest harm to society is indifference and nihilism, which art has the leverage to prevent. In art, quantity means nothing, quality means everything.

The purpose of this paper is to show the stages of development of Georgian documentary cinema and trilogy of Rezo Tabukashvili's - **"The Trail is Clear", "Georgia's Potter" and "Closeness of Distants"**. Methodological foundations together with the analysis of historical research are represented by the methods of content analysis and comparative analysis. The main results of the research revealed that the influence of Georgian documentary cinema on the Georgian reality of the 20th century is undoubtedly great, and also, documentary cinema is considered a precursor to the formation of national cinematography. As a conclusion in the paper, we present recommendations regarding the problem of linearity and diversity of topics in Georgian documentary cinema.

Keywords: Documentary cinema, the script of the film, voice, music.

1. შესავალი

,,კინოთვალი " არის შესაძლებლობა, რომლითაც ის ქმნის ,,კინო-სიმართლეს". კინოს და მით უფრო, დოკუმენტური კინოს, შეუძლია დროის ნიშნისგან მოუწყვეტლად, შექმნას ნამდვილი რეალობა ან ,,სიმულაციური რეალობა".ზოგადად, ხელოვანი, ამ შემთხვევაში კი დოკუმენტური კინოს რეჟისორი, ან რეალისტი პროფესიონალია, ან პროპაგანდისტი. პირველ შემთხვევაში მას ახალი თემები, ახალი თვალსაზრისი, ახალი სტილისტიკა მოაქვს, მეორე შემთხვევაში კი - ძველი, გატკეპნილი გზით დადის და გაპრიალებულ-შელამაზებული ისტორიებით სიცრუის ტირაჟირებას ახდენს. ტყუილი საუბარში შეიძლება გაიპაროს, მაგრამ საკმარისია ეკრანზე გამოსახულება და ტექსტი ერთად გამოჩნდეს, რომ იქ სიყალბის დანახვა მაშინვე ცხადი ხდება. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს და 80-იან წლებში, მკაცრი ცენზურის პირობებში, რეზო თაბუკაშვილმა შეძლო მართალი, ეროვნული და პროპაგანდისგან თავისუფალი დოკუმენტური ფილმების შექმნა.

თემის აქტუალობა

ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ის, რომ ჩვენი კვლევის მიზანია ქართული დოკუმენტური კინოს მახასიათებლების შესწავლა რეზო თაბუკაშვილის ტრილოგიის საფუძველზე, დოკუმენტური კინო კი თავისი მახასიათებლებით და შინაარსით- ყველა დროში კინოხელოვნების ერთ-ერთი მოთხოვნადი და საინტერესო ჟანრია. გარდა ამისა, თანამედროვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში კვლევები დოკუმენტური კინოს შესახებ არც თუ ისე მრავალფეროვანია და თემის აქტუალობას ეს საკითხიც განაპირობებს.

თემის სამეცნიერო სიახლე

რაც შეეხება თემის სამეცნიერო სიახლეს- ნაშრომში განვიხილავთ ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ყველა მნიშვნელოვან ეტაპს, განსაკუთრებით შევეხებით საავტორო დოკუმენტურ კინოს, რომლის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია- რეზო თაბუკაშვილი; დეტალურად ვისაუბრებთ დოკუმენტური კინოს მთავარ მახასიათებლებზე- (სცენარი, ტექსტი, ფოტოგრაფია, ხმა, მუსიკა, გრაფიკული დიზაინი) და თითოეულ ამ მახასიათებელს განვიხილავთ ტრილოგიის- **,,კვალი ნათელი",,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" და ,,შორიელთა სიახლოვე"-ს** მაგალითზე. ჩამოვაყალიბებთ, ზოგადად, ქართულ დოკუმენტურ კინოში არსებულ პრობლემებს და დასკვნის სახით წარმოვადგენთ შესაბამის რეკომენდაციებს.

მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია დოკუმენტური კინოს როლისა და კერძოდ, ქართული დოკუმენტალისტიკის განვითარების ეტაპების შესწავლა, ასევე დოკუმენტური კინოს მახასიათებლების განხილვა რეზო თაბუკაშვილის ტრილოგიის მაგალითზე.

კვლევისათვის დასახული მიზნების მისაღწევად უნდა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

1) დოკუმენტური კინოს მთავარი მახასითებლების ზოგადი მიმოხილვა;

2) ქართული დოკუმენტური კინოს ისტორიის და განვითარების ეტაპების შესწავლა;

3)რეზო თაბუკაშვილის ტრილოგიის განხილვა დოკუმენტური ფილმის მახასიათებლების მიხედვით-ქრონომეტრაჟი, სცენარი, ტექსტი, ფოტოგრაფია, ხმა, მუსიკა და გრაფიკული დიზაინი;

კვლევის საგანი

კვლევის საგანია ქართული დოკუმენტური კინოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების შესწავლა და საავტორო დოკუმენტური კინოს თავისებურებების განხილვა.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია რეზო თაბუკაშვილის სამი დოკუმენტური **ფილმი-,,კვალი ნათელი", ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი", ,,შორიელთა სიახლოვე".**

კვლევის ჰიპოთეზა და საკვლევი კითხვები

ჰიპოთეზა: ქართულ დოკუმენტურ კინოში სწორხაზოვნებისა და ჟანრების მრავალფეროვნების სიმცირის გამო, განსაკუთრებით, სჭარბობს ისტორიული ფაქტის ან მოვლენის ,,გაცოცხლება".

აღნიშნული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

1)განვითარების რა ეტაპები გაიარა ქართულმა კინოდოკუმენტალისტიკამ?

2)რა როლი შეასრულა საავტორო დოკუმენტური კინოს განვითარებაში რეზო თაბუკაშვილმა და დოკუმენტური კინოს რა ძირითადი მახასიათებლებია გამოყენებული მის ფილმებში?

3)რა პრობლემები ჰქონდა და რა სირთულეები რჩება დღესაც ქართულ დოკუმენტურ კინოში?

2. მასალები და მეთოდები

2.1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

2.1.1.ადგილობრივი სამეცნიერო წყაროების მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას, დოკუმენტური ფილმების შესწავლასთან ერთად, თეორიულ მასალასაც გავეცანით. მოვიძიეთ ადგილობრივი და უცხოური სამეცნიერო წყაროები, როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო დოკუმენტურ კინოზე. ქართულ კინოდოკუმენტალისტიკაზე არსებული კვლევები არც თუ ისე მრავალფეროვანია.

ბაქრაძე აკ. (1989) კინო და თეატრი. თბილისი : ,,ხელოვნება".

აკაკი ბაქრაძე თავის წიგნში - „კინო და თეატრი“ - - დოკუმენტურ ფილმს განიხილავს კინოს იმ ჟანრად, სადაც დოკუმენტურობა და საგანგებოდ დადგმული სცენები ბუნებრივად ვერასოდეს შეერწყმებიან ერთმანეთს. ამას ორი მიზეზი აქვს - არსებითი და არაარსებითი. არსებით მიზეზად კრიტიკოსი მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ დოკუმენტალისტის ნიჭი და აზროვნების წესი, სრულიად განსხვავდება „მსახიობური“ ფილმის რეჟისორის ხელწერისაგან. იქ კი, სადაც კონკრეტული შემოქმედის ადგილი არ არის, საქმე ყოველთვის დამარცხებით მთავრდება. რაც შეეხება მეორე, არაარსებით მიზეზს, ავტორი განიხილავს იმ ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც ნებისმიერი ფილმის გადაღებას სჭირდება - მხატვრული იქნება თუ დოკუმენტური. სცენა რომ დამაჯერებელი გამოვიდეს, ნიჭთან ერთად არაერთი კომპონენტია საჭირო - გადაღების ტექნიკური საშუალებები, ფირი, რეკვიზიტი, გარემო და სხვა. ფირის უხარისხობის გამო ბევრ ნიჭიერ რეჟისორს შეიძლება გადაღებული მასალა დაკარგვოდა და ყველაფრის თავიდან დაწყება გამხდარიყო საჭირო. თუმცა დოკუმენტურ კინოში ხშირად განმეორება გამორიცხული ფაქტია. იმ ფორმით, რაც ერთხელ გადაიღეს, თითქმის აღარ განმეორდება.,,დოკუმენტური ფილმი სწორედ დოკუმენტურობის ხიბლითა და ემოციით უნდა იპყრობდეს მაყურებელს. რა თქმა უნდა, დოკუმენტის რესტავრაციაც შეიძლება და გათამაშებაც, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს აუცილებლობამ უნდა გამოიწვიოს და მეორეც, გააჩნია - რისთვის ვაკეთებთ ამას და - როგორ. თან ეს უნდა იყოს გაკეთებული სუპერნატურალისტურად, რომ შეუძლებელი გახდეს გაარჩიო, სად თავდება დოკუმენტი და სად იწყება დადგმა. (ბაქრაძე, კინო და თეატრი, 1989).

დოლიძე ზ. (2016) მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორია-დოკუმენტური კინო 30-40-იან წლებში. თბილისი: ,,კენტავრი".

მოცემულ ნაშრომში ავტორი განიხილავს იმ შედეგებს, რაც გახმოვანების პროცესის დაწყებამ გამოიწვია დოკუმენტურ კინოში. კერძოდ, აქცენტი გადავიდა სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე, უფრო პროდუქტიული ინფორმაციის მიწოდებაზე, რათა მაყურებელს სწორად შეეფასებინა მოვლენები. სახეცვლილება დაეტყო დოკუმენტური კინოს ჟანრებსაც: დიქტორის კადრსგარეთა ხმამ მეტი ელფერი შესძინა კინოქრონიკას, ხმოვანმა რიგმა უფრო გაამრავალფეროვნა კინოდაკვირვება, დახვეწა მათი საერთო დრამატურგიული არქიტექტონიკა. ,,ფაქტობრივად ყველა ჟანრის წინაშე გადაიშალა ახალი შესაძლებლობები, რაც კარგად უნდა გაეთავისებინათ და პრაქტიკულად განეხორციელებინათ კინოდოკუმენტალისტებს". (დოლიძე, დოკუმენტური კინო 30-40-იან წლებში, 2016).

კალანდარიშვილი ლ. , ლევინაძე მ. (2016) კინოკრიტიკა და თეორია ფილმის ანალიზის საფუძველზე. თბილისი.

ავტორები საინტერესოდ მოგვითხრობენ კინემატოგრაფიის დაწყების და შემდგომი განვითარების ეტაპებზე, როგორც XIX საუკუნის ბოლოს დაბადებულ ხელოვნების ,,ბობოქარ“ ჟანრზე, ტექნიკური პროგრესის შედეგზე, თავიდან რაღაც ,,ბუნდოვან" შესაძლებლობაზე, რომელმაც ერთბაშად, ძალიან სწრაფად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ,,მოძრავ ფოტოგრაფიებში -ამ გაურკვეველი ფუნქციის ექსპერიმენტში, მაძიებელმა ეპოქამ ახლებური შემოქმედების, აქამდე უცნობი ფანტაზიის განხორციელების პოტენცია აღმოაჩინა". (Levinadze, 2016).

მახარაძე ი. (2014). დიადი მუნჯი. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა

წიგნში ავტორი საუბრობს პირველ ქართულ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებზე, მათ რეჟისორებზე . საინტერესოდ სთავაზობს მკითხველს, როგორი ტრანსფორმაცია განიცადა მუნჯმა კინომ დროის ცვლილებასთან ერთად და როგორ შეაბიჯა ხმოვან ერაში. (მახარაძე, დიადი მუნჯი, 2014).

2.1.2 უცხოური სამეცნიერო წყაროების მიმოხილვა

John Grierson (1931). Documentary Film

თავის წიგნში ,,დოკუმენტური ფილმი“ ინგლისელმა კინომკვლევარმა ჯონ გრირსონმა დოკუმენტური კინოს სამი ძირითადი პრინციპი შემოგვთავაზა:

1. დოკუმენტური ფილმის მიზანია ფირზე აღბეჭდოს რეალური მოვლენები რეალურ ფონზე.

2. დოკუმენტურ ფილმებში ბუნებრივი პერსონაჟები კინემატოგრაფს უზარმაზარ შემეცნებით მასალას აწვდიან, სთავაზობენ სახეების აურაცხელ სიმდიდრეს, რისი წყალობითაც ეკრანზე შეიძლება აისახოს რეალური მოვლენები, უფრო მეტად რთული და საოცარი, ვიდრე ისინი, რომელსაც კინემატოგრაფისტი შეთხზავს.

3. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკრანზე ჟესტის უშუალობა. მასალის შესასწავლად და შესაქმნელად რეჟისორ-დოკუმენტალისტის წინაშე ღიაა ისეთი შესაძლებლობები, როგორიც თითქმის წარმოუდგენელია სტუდიაში ძვირფასი აპარატურისა და სახელგანთქმული მსახიობების თამაშის პირობებში. (Grierson, Documentary Film, 1931).

4.**Peter Ward (2014). Shot Composition in Film and Televizion**

პიტერ უორდი წიგნში ,,კადრის კომპოზიცია კინოსა და ტელევიზიაში"- კომპოზიციას განიხილავს, როგორც კადრში მოხვედრილი ხილული ელემენტების ორგანიზების წესს და ვიზულაური კომუნიკაციის საფუძველს. ,,სრულიად რეალისტურიც რომ იყოს ვიზუალურად ინფორმაციის მატარებელი გამოსახულება, მისი შერჩევის პროცესი ყოველთვის მოითხოვს ასასახი საგნის გამოკვეთას და ავტორისეულ ინტერპრეტაციას იმისას, რასაც სურათის შემქმნელი უმთავრესად მიიჩნევს" (Ward, Shot Composition in Film and Televizion, 2014).

5. John Storey (1996). Cultural Stadies and the study of Popular Culture, Edinburg University Press.

ჯონ სთორი ნაშრომში ,,კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა" აღნიშნავს, რომ კულტურის წარმოდგენა საერთო მნიშვნელობის შექმნის პროცესად არ ნიშნავს იმას, რომ კვლევები სხვადასხვა კულტურის ჰარმონიულობასა

და ორგანულ მთლიანობას აღიარებს. პირიქით, კულტურის კვლევები ამტკიცებს, რომ ,,ტექსტები", რომლებისგანაც იქმნება კულტურა-,,მრავალაქცენტიანია". ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება მრავალი განსხვავებული მნიშვნელობით შეიქმნას. ეს კი კონფლიქტს იწვევს სამყაროსთვის მნიშვნელობის მინიჭებასა და ამა თუ იმ მნიშვნელობის სწორად აღიარებასთან დაკავშირებით. კულტურის კვლევების ძირეული ინტერესის საგანიც, სწორედ, ეს კონფლიქტია-ურთიერთობა კულტურასა და საზოგადოებას შორის. (Storey, Cultural Stadies, 1996).

2.2. თეორიული ჩარჩო

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ფრეიმინგის თეორია წარმოადგენს. ფრეიმინგის თეორიის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ მედია ყურადღებას ამახვილებს გარკვეულ მოვლენებზე და შემდეგ მათ მნიშვნელობის ველში ათავსებს. ის საზოგადოების აზრის ვექტორებს განსაზღვრავს, თუ როგორ იფიქრონ მოცემულ საკითხზე. ფრეიმინგის, როგორც მასკომუნიკაციის თეორიის შესახებ, არა ერთი მეცნიერი აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას. გემსონისა და მოდილიანის (Gamson & Modigliani) აზრით, ფრეიმი აუდიტორიის ყურადღებას ამბის მთავარ ნაწილზე ფოკუსირებისაკენ მიმართავს. კაპელლა და ჯემისონი (Cappella & Jamieson) მიიჩნევენ, რომ ფრეიმი შედგება ჰედლაინებისა და სფეციფიკური სიტყვებისგან, რაც კონკრეტულ კვლევას უკავშირდება, ვინაიდან ფრაზების განსაზღვრა კვლევისათვის აუცილებელია. ეტმანის (Entman) აზრით, ფრეიმინგის თეორია რეალობის ცალკეული ასპექტების წინ წამოწევას, მიზეზ-შედეგობრივ ინტერპრეტაციას, შეფასებას და ბოლოს-რეკომენდაციას გულისხმობს. მოცემული მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩვენს შემთხვევაში ფრეიმინგი უნდა მივიჩნიოთ საკვლევი თემის თეორიულ საფუძვლად, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ჩარჩოს, ანუ კვლევის მთავარ ნაწილზე ფოკუსირებას -დოკუმენტური კინოს მთავარი მახასიათებლების ჩვენებას რეზო თაბუკაშვილის ფილმების მაგალითზე. ფრეიმინგის თეორიის კავშირი ჩვენს საკვლევ თემასთან რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული, კერძოდ, მნიშვნელოვანია მედიის დღის წესრიგში კულტურისა და კინოხელოვნების როლის შესახებ მუდმივად

აღინიშნებოდეს, ასევე ე.წ ,,ფრეიმებით“ საზოგადოებას ვესაუბროთ კინოზე და ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დოკუმენტურ და კერძოდ, ქართულ დოკუმენტურ კინოს აქვს, წინა ხაზზე გამოვიტანოთ.

2.3 კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდები არის კონკრეტული პროცედურები მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისათვის. ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა კვლევის სამი მეთოდი: 1) ისტორიული კვლევის ანალიზი; 2) კონტენტ-ანალიზი; 3) შედარებითი ანალიზი.

ისტორიული კვლევის ანალიზი მოიაზრებს ფაქტების, არგუმენტების, ისტორიული მასალების მოპოვება-ანალიზს.ქართულ დოკუმენტურ კინოს საუკუნეზე მეტი არსებობის ისტორია აქვს და ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მისი განვითარების და ტრანსფორმაციის ეტაპები წარსული გამოცდილებიდან უახლეს ისტორიამდე-ვასილ ამაშუკელის მიერ 1908 წელს შექმნილი კინოქრონიკებიდან თანამედროვე დოკუმენტურ კინომდე.

კონტენტ-ანალიზის მეთოდი კვლევის შინაარსის შესწავლის საშუალებას იძლევა. აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია გაანალიზდეს ნებისმიერი სახის მედიაკონტენტი, იქნება ეს ბეჭდური, აუდიო თუ ვიდეო სახით, ასევე კინოფილმი, სარეკლამო ინფორმაცია და სხვა. ჩვენს შემთხვევაში ეს მეთოდი გამოვიყენეთ დოკუმენტური კინოს გასაანალიზებლად. კონტენტ-ანალიზის ჩასატარებლად ჩვენს მიერ გადადგმული იქნა შემდეგი ნაბიჯები:

. კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება;

. კონტენტის / შინაარსის/ ჩარჩოების განსაზღვრა;

. შეგროვებული მონაცემების ანალიზი;

. კვლევის დასკვნებისა და მიგნებების ჩამოყალიბება;

შედარებითი ანალიზის მეთოდი გამოვიყენეთ სხვადასხვა ჟანრის ქართული დოკუმენტური ფილმების შესადარებლად, ასევე დოკუმენტური კინოს

მახასიათებლების გამოყენების ხარისხის განსაზღვრისას ქართულ კინოდოკუმენტალისტიკაში.

მეორადი მონაცემებით თემაზე მუშაობის დროს გავეცანით კვლევასთან დაკავშირებულ ისტორიულ მასალებს, სამეცნიერო სტატიებს და უკვე ჩატარებულ გამოკვლევებს.

3.შედეგების განხილვა

3.1. ქართული დოკუმენტური კინოს ისტორია და განვითარების ეტაპები

კვლევის ძირითადი ნაწილი არის ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ეტაპების ჩვენება და მისი მახასითებლების განხილვა რეზო თაბუკაშვილის ტრილოგიის საფუძველზე. სანამ კვლევის ამ საინტერესო მონაკვთზე გადავალთ, მიმოვიხილავთ მსოფლიო და ქართული კინოდოკუმენტალისტიკის დაარსების ისტორიას. მსოფლიო კინემატოგრაფიის დაბადება ძმებ ლუმიერების სახელს უკავშირდება, რომლებმაც 1895 წლის 28 დეკემბერს პარიზის ,,გრანდ კაფეში“ მოწვეულ სტუმრებს თავიანთი მოკლემეტრაჟიანი ფილმები აჩვენეს. ამ ფილმების უმეტესობა დოკუმენტური ხასიათის იყო, თავისი უბრალო და მარტივი მოვლენების კონსერვაციით. მალე, კინემატოგრაფმა მაყურებელს კინოხელოვნების ახალი ენა - დადგმა და სიუჟეტი შესთავაზა. თუმცა ის, რასაც დღეს კინოს ვეძახით, დოკუმენტური ფილმისგან იშვა. დოკუმენტური კინო ქმნის ნამდვილ რეალობას, ან ,,სიმულაციურ რეალობას". სწორედ ეს სიმულაციური რეალობა იყო საბჭოთა პერიოდში შექმნილი „ლაკირებული რეალობის ილუზია“, სადაც საბჭოთა ადამიანი „უზრუნველ“ ქვეყანაში ცხოვრობდა და ,,მოძმე“ რესპუბლიკებთან ერთად „ნათელი“ მომავლისთვის იბრძოდა.ასე ქმნიდა საბჭოთა დოკუმენტური კინო მითებსა და კერპებს, რომელიც ქართულ რეალობასაც თავის ჭაობში ითრევდა.

საქართველოში კინემატოგრაფიის ისტორია ევროპულის პარალელურად იწყება, როდესაც თბილისში პირველი კინოსეანსი გაიმართა ლუმიერების მიერ გამართული სინემატოგრაფიის პირველი საჯარო დემონსტრაციიდან თერთმეტ თვეში. 1896 წლის 16 ნოემბერს თბილისის ქუჩებში გამოკრული აფიშები იუწყებოდა, რომ

სათავადაზნაურო თეატრში ნაჩვენები იქნებოდა ლუმიერების სინემატოგრაფი. კინოს, როგორც მოძრავი გამოსახულების ამბავი, საქართველოში 1900 წელს დაიწყო, როცა ფოტოგრაფმა დავით დიღმელოვმა- შვილთან, ალექსანდრე დიღმელოვთან ერთად, თბილისში ჩამოიტანა მაგიური მოწყობილობა „ლატერნა მაგიკა“. ეს ჯადოსნური მანქანა მოძრავ გამოსახულებებს სლაიდების მეშვეობით აჩვენებდა. დიღმელოვებმა მალე სინემატოგრაფი შეიძინეს და 1910 წლიდან ალექსანდრე დიღმელოვმა ფილმების გადაღება დაიწყო. მანამდე კი იყო 1908 წელი, როდესაც ვასილ ამაშუკელმა ბაქოში კინოქრონიკები შექმნა და კინოს ისტორიკოსები ქართული დოკუმენტური კინოისტორიის ათვლის თარიღად სწორედ 1908 წელს მიიჩნევენ. ვასილ ამაშუკელი (1886-1977) ქართული კინოს პიონერია. 1912 წელს ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმში“ შედგა მისი ფილმის პრემიერა „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. ,,ეს იყო მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, საშემსრულებლო ხელოვნების მაღალი ოსტატობითა და ქრონომეტრაჟით, რომელსაც იმ დროისათვის ანალოგი არ ჰქონია“. (ი.მახარაძე, ,,დიადი მუნჯი", 2014).

ქართული კინოდოკუმენტალისტიკა 20-იან წლებში მიხეილ კალატოზიშვილის ფილმებით გრძელდება. „ჯიმ შვანთეში“ (მარილი სვანეთს) წარმოდგენილია მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის ერთიანობა. აქ ხდება „ძველი“ და „ახალი“ ყოფის დაპირისპირება, სადაც ახალი „პროგრესულია“ ძველზე. ამ თემის უტრირება გაგრძელდა 30-40-იანი წლების ქართულ დოკუმენტურ კინოში. 1921 წელს, საქართველოში პირველი რესპუბლიკის არსებობისას, ქართული დოკუმენტური კინოქრონიკა გერმანე გოგიტიძის ფილმითაა წარმოდგენილი და ის რუსულ არმიასთან გამართული საომარი მოქმედებების უნიკალურ კადრებს ასახავს. ეს იყო იმდროინდელ დამოუკიდებელ საქართველოში თბილისის დასაცავად გამართული საბრძოლო ბატალიების გადაღებისას კინოკამერის ბოლოჯერ დატრიალება. შემდეგი 70 წლის მანძილზე დადგა საბჭოთა პროპაგანდისტული კინოინდუსტრიის დრო, რომელიც ხალხში საბჭოთა იდეების დანერგვას და სიცრუის ტირაჟირებას უწყობდა

ხელს. 50-60-იანი წლების ქართულ დოკუმენტურ ფილმებში „ძველი პერიოდი“ უკვე განიხილება არა როგორც დრომოჭმული, არამედ როგორც „დიადი“ წარსული და „ახალი“ განიხილება, როგორც მისი „ღირსეული მემკვიდრეობა“. მოვლენების რეალურად შეფასების ნაცვლად ქართული დოკუმენტალისტიკა სრულიად იდეოლოგიზებული აღმოჩნდა. ადამიანები ვითომ „ბედნიერ“ ქვეყანაში ცხოვრობდნენ 1937-1938 წლების რეპრესიების შედეგების პარალელურად. ეს ყალბი პათოსი იგრძნობოდა დოკუმენტურ კინოში თავისი მასობრივი დღესასწაულებით, მუშათა კლასის „წარმატებებით“, ურბანული ქალაქების მშენებლობებით. მაყურებლის ინტერესი კი ამ პომპეზურობის მიმართ არც თუ ისე სახარბიელო იყო. (მ.ლევანიძე, ,,რეკონსტრუირებული რეალობა და რეალიზმი", 2010).

1958 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდია, სადაც ქართული კინოს 100 წლიანი ისტორიის მანძილზე 600-მდე დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმი შეიქმნა.60-70-იან წლებში აქტიური შემოქმედებითი ძიებები უფრო მეტად მხატვრულ კინემატოგრაფიაში მიმდინარეობდა, მაგრამ თანდათან ქართული დოკუმენტური კინოც ცდილობდა „ჩაკეტილი სივრციდან“ გამოსვლას და ტაბუირებულ თემებზე შედარებით თამამად საუბარს. ამ პერიოდში არა ერთი საინტერესო ნამუშევარი შეიქმნა გარკვეული ესთეტიკური ძიებებით. ო. იოსელიანის „საპოვნელა“ (1959 წ.), თ. ნოზაძის „თბილისის ღამე“ (1962წ.), გ. კანდელაკის „დღე“ (1965), ო. იოსელიანის „თუჯი“ (1964 წ.), გ. ჭუბაბრიას „თეთრი თორღვაი“ (1969 წ) და სხვა. ეს სრულიად განსხვავებული ფილმები ერთმანეთს სინამდვილის აღქმით ენათესავებოდნენ. 70-იანი წლებიდან მოყოლებული ცენზურა ხელოვნების ნაწარმოებებში შეფარული მესიჯების გამოყენებისკენ უბიძგებდა ავტორებს. ვიზუალური და შინაარსობრივი მეტაფორებით აზროვნება გარკვეულ ტენდენციად ჩამოყალიბდა ქართულ, როგორც მხატვრულ, ასევე დოკუმენტურ კინოში, სადაც თანდათან განვითარდა რამდენიმე ჟანრული სტრუქტურა -კინონოველა, საავტორო ფილმები, მიმოხილვითი, ინფორმაციული, პოეტური და სხვა. მასობრივი პროდუქციის გვერდით მხოლოდ

ერთეული რეჟისორები ახერხებდნენ გარკვეული ფორმის შექმნას და მორალურ-ზნეობრივი პრობლემების წინა პლანზე წამოწევას. ქრონიკა კი ისევ პომპეზურ დემონსტრაციებსა და საბჭოთა ადამიანის „ბედნიერ“ სახეს ასახავდა.

70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში ქართულ დოკუმენტურ კინოში თანდათან მნიშვნელოვანი გახდა რეჟისორული ინდივიდუალური ხედვა და ხელწერა. საავტორო დოკუმენტური კინოს განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით რეზო თაბუკაშვილს, გ. ასათიანს, გ. ჭუბაბრიას, გ. პატარაიას. გურამ პატარაიას დოკუმენტური ფილმები: ,,რუსთაველის ნაკვალევზე“, ,,შორია გურჯისტანამდე“, ,,პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებანი“, ,,ათონის მატიანე“, ,,ტაო კლარჯეთი“- ქართველ და არა მარტო ქართველ საზოგადოებას მოუთხრობს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ბოლო ათწლეულების ქართულ დოკუმენტურ კინოში აქტიურად შეინიშნება პორტრეტული ჟანრის განვითარების ტენდენცია. ამის ნათელი მაგალითია მ. ანასაშვილის ფილმი ,,რობერტ სტურუა“ , ი. მახარაძის ,,დიმიტრი შევარდნაძე“, დ. ცინცაძის ,,ელდარ შენგელაია“ და სხვა. ქართულ დოკუმენტურ კინოში მრავალწლიანი არსებობის მანძილზე დომინანტია რელიგიურ თემებზე შექმნილი დოკუმენტური ფილმები, სადაც პანორამულად და ილუსტრაციულად ნაჩვენებია ისტორიული ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, ფრესკები, კადრს მიღმა ტექსტები კი განსაზღვრავს ფილმის ვიზუალური სტრუქტურის თავისებურებებს, მის დრამატურგიულ განვითარებას. ამ ტენდენციის გამოხატულებაა მ. ბორაშვილის ,,გზა მაცხოვრისა“ (2002 წ). ისტორია, რომელიც უძველესი ხატების მეშვეობით მოგვითხრობს მაცხოვრის შესახებ- შობიდან ამაღლებამდე. რელიგიურ თემატიკას ეძღვნება დავით ნანობაშვილის ფილმების სერია ,,ზეციური სასწაულები.

ქართულ დოკუმენტური კინოს ისტორიას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეზო თაბუკაშვილის შემოქმედება.

3.2 რეზო თაბუკაშვილი-მწერალი, რეჟისორი და მეცნიერ -მკვლევარი

ქართულ დოკუმენტალისტიკაში მნიშვნელოვანი და საკუთარი ხელწერით გამორჩეული ადგილი დაიკავა რეზო თაბუკაშვილმა. ის იყო ქართველი რეჟისორი, მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, დრამატურგი, მთარგმნელი, სცენარისტი. 1967 წელს მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, 1981 წელს კი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა. არაჩვეულებრივ სამწერლო შემოქმედებასა და დოკუმენტურ ფილმებთან ერთად, მან აღმოაჩინა და საქართველოს დაუბრუნა არა ერთი უნიკალური ხელნაწერი, ისტორიული რელიქვია და უცხოეთში მოღვაწე მამულიშვილთა სახელები კიდევ უფრო კარგად გააცნო მომავალ თაობას. ეს სახელებია- მიხეილ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, გრიგოლ ფერაძე, პეტრე ხარისჭირაშვილი, ვანო ქიქოძე, პაპავების ოჯახი, ვიტორიო სელა და სხვები. რეზო თაბუკაშვილმა მსოფლიოს სხვადასხვა წიგნსაცავში და არქივში მოიძია უძველესი ქართული ხელნაწერები, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები და ნაწილი ჩამოიტანა კიდეც საქართველოში. აი, იმ უნიკალური ნივთების მცირე ჩამონათვალი, რომლებიც მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს დაუბრუნდა: ვიტორიო სელას ფოტოარქივი, ფოტოპირები და უძველესი ხელნაწერები; მეფე ერეკლეს წერილები გაგზავნილი საქართველოდან 1782 წელს; პაპავების არქივი; სულხან -საბა ორბელიანის სამაჯური, რომელიც რომის პაპმა აჩუქა პირადად; ვანო ქიქოძის იარაღების უნიკალური კოლექცია და ეკლესია-მონასტრების ორიგინალური ფოტოფირები; (700 სლაიდი), ქეთევან დედოფლის მოქსოვილი ფარდაგი-სიონის საკურთხევლის გადასაფარებელი; ასევე ნიკო ბურის რარიტეტებიც და ვ. ღამბაშიძის მიერ გადაღებული აკაკი წერეთლის დაკრძალვის ფოტოების ნეგატივები. მან მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში, ფონდსა და არქივში, ასევე კერძო კოლექციაში აღმოაჩინა და აღნუსხა ქართული ხატები, ტიხრული მინანქრების ფრაგმენტები, უძველესი ხელნაწერები.

რეზო თაბუკაშვილის მრავალმხივ საინტერესო შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მის დოკუმენტურ ფილმებს უჭირავთ. საბჭოთა ეპოქაში მან შეძლო პოლიტიკური კონიუნქტურისგან სრულიად თავისუფალი, ნათელი და

მართალი კინოს შექმნა, თანაც დოკუმენტური კინოსი. ეს ფილმებია: ,,კვალი ნათელი“ (1978 წ.), ,,ალპური ვარსკვლავი“ (1979 წ.), ,,ვიტორიო სელა“ (1980 წ.), ,,მთანი მაღალნი“ (1980 წ.), ,, მიხეილ ხერგიანი“ (1981 წ.), ,,პირველად იყო სიტყვა“ (1982 წ.), ,,ფურცლები ფრანგული დღიურიდან“ (1983 წ.), ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ (1985 წ.), ,,ნაძარცვის კვალდაკვალ“ (1986 წ.), ,,შორიელთა სიახლოვე“ (1987 წ.). ამ უნიკალური ფილმებიდან, დოკუმენტური კინოს მახასიათებლების ფონზე, განვიხილავთ ტრილოგიას-,,კვალი ნათელი (1978 წ.), ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ (1985 წ.), ,,შორიელთა სიახლოვე-(1987 წ.).

3.3.რეზო თაბუკაშვილის ტრილოგია

3.3.1. ,,კვალი ნათელი“

რეზო თაბუკაშვილის კინოდოკუმენტალისტიკა იწყება 1978 წელს გადაღებული ფილმით -**,,კვალი ნათელი“.** უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ეროვნული მოღვაწეების კვალის ძიებას მან დოკუმენტურ ფილმთა ციკლი მიუძღვნა და ერთ-ერთი ასეთია **,,კვალი ნათელი“,** რომელიც მიხეილ თამარაშვილის მოღვაწეობას და მის ნეშტთან ერთად მისი სახელის საქართველოს ისტორიისთვის საბოლოო დაბრუნებას ეძღვნება. ფილმი 53 წუთიანია. რეჟისურასთან ერთად სცენარიც რეზო თაბუკაშვილს ეკუთვნის. ფილმს, მთელი მსვლელობის მანძილზე, თან გასდევს იაკობ ბობოხიძის არაჩვეულებრივი მუსიკა. დოკუმენტური კინოს მთავარი მახასიათებლებია: სცენარი, სამეცნიერო და ისტორიული ლიტერატურით გამყარებული ტექსტი, ფოტოგრაფია, ხმა, მუსიკალური გაფორმება და სხვა. ეს ფილმი პასუხობს დოკუმენტური კინოს მთავარ მოთხოვნას- ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მაყურებელს გაშუქებულ თემებზე და ფილმში მიმდინარე მოვლენების თანამონაწილედ აქციოს. საინტერესოდ დაწერილი სცენარი, სამეცნიერო და ისტორიული მასალები, სხვა გამოსახველობით საშუალებებთან ერთად ქმნიან ნამდვილ, მართალ დოკუმენტურ კინოს, რომელსაც არაერთ საინტერსო ქართულ ნაკვალევამდე მივყავართ. სცენარი, რომელიც დოკუმენტური ფილმის ეკრანული შეტყობინებების გამოსახვითი და ბგერითი გადაწყვეტის ლიტერატურულ ჩანაწერს წარმოადგენს, სხვადასხვა ნაწილებისაგან

შედგება: ექსპოზიცია, განაცხადი, პერიპეტიები, კვანძის გახსნა, კულიმინაცია და ეპილოგი. თითოეული მათგანის კომპოზიციური შეთანხმებით ფილმის მთლიანობა იკვრება და ეკრანულ სახეს იძენს. პირველივე კადრებში გამოსახული იტალიელ მისიონერთა წიგნებისა თუ სურათების ილუსტრაციები იმ პერიოდს ასახავს, როცა საქართველოსა და იტალიის ისტორიის ქრონიკები იკვეთება. ჯერ კიდევ II საუკუნეში რომის იმპერატორმა ანტონიო პიუსმა იტალიაში ივერთა მეფე ფარსმანი მიიპატიჟა და შემდგომ ცხენზე ამხედრებული ქართველი მეფის ქანდაკებაც დაადგმევინა. რომის კოლიზეუმის, ვენეციის, მილანის, ვატიკანის კადრების ფონზე, რეჟისორი ყველა იმ ქართულ ნაკვალევს გვამცნობს, რაც იტალიასთან ქართულ ისტორიოგრაფიას აკავშირებს. მეტი ყურადრების მისაქცევად ფილმის კადრები ჩერდება იტალიაში აღმოჩენილ უნიკალურ მასალებზე. ეს არის პირველი ქართული ბეჭდური სიტყვის დასაწყისი-1629 წელს რომის სტამბაში დაბეჭდილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი, იტალიურ-ქართული ხელნაწერი გრამატიკა, მეფე ერეკლეს ორი წერილი გაგზავნილი საქართველოდან ვენეციელი დოჟების სახელზე. ეს წერილები გეორგიევსკის ტრაქტატამდეა დაწერილი და უდაოდ დიდი მონაპოვარია ისტორიკოსებისთვის, რადგან მათი წყალობით დასტურდება, რომ ვიდრე რუსეთისკენ გაიხედავდა, მეფე ერეკლემ არაერთხელ სთხოვა დახმარება ევროპას. რეზო თაბუკაშვილმა საქართველოს ამ წერილების ფოტოპირები დაუბრუნა, რომლებიც საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცა. (საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი, 2001).

დოკუმენტურ ფილმის კადრებში თანამიმდევრობით ჩანს იტალიაში მიკვლეული ქართული უნიკალური საგანძური: ვენეციის არქივში აღმოჩენილი, იტალიელი ავტორის მიერ შექმნილი ქართული გრამატიკის ორი სახელმძღვანელო; ვენეციაში დასტამბული ექვსენოვანი ფსალმუნი, რომელთაგან ერთ-ერთის ენა ქართული აღმოჩნდა; ვატიკანის არქივში თავმოყრილი ქართული ხელნაწერები; რომის არქივში შემონახული ცნობილი ქართველოლოგის, ძველი ქართული, ბიზანტიური და ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურათა მკვლევარის -

მიხეილ თარხნიშვილის მიერ ფრანგულ ენაზე შედგენილი ქართული ხელნაწერების კატალოგი.

ფილმში ,,კვალი ნათელი“ რეჟისორი მაყურებელს მიხეილ თამარაშვილის სახელს აცნობს-მოღვაწის, რომელმაც სხვა მეცნიერების მსგავსად თავისი კვალი დაატყო ევროპაში ქართველოლოგიის განვითარების საქმეს. (ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, 1978). მიხეილ თამარაშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც ევროპას საქართველოს ისტორია გააცნო. რომში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული მისი ნაშრომი -,,საქართველოს ეკლესიის ისტორია“, სამწუხაროდ, დღემდე არ არის თარგმნილი ქართულად. ამ წიგნს, ქებაზე სიტყვაძუნწმა ,,ივერიამ“-,,მეორე ქართლის ცხოვრება“ უწოდა.

დოკუმენტურ კინოში ხშირად იყენებენ ფოტოგრაფიას, როგორც უტყუარ არგუმენტს და ფაქტს. ფილმში სცენარის კვანძის გახსნა ფოტოგრაფიით ხდება, როცა რეჟისორი მიხეილ თამარაშვილის დაბადებისა და ყრმობის ადგილს-მესხეთს, ვარძიის უნიკალურ კადრებს და საოჯახო ფოტოებს გვაჩვენებს. თამარაშვილი ახალციხეში, კათოლიკეთა ოჯახში, დაიბადა 1848 წელს და მესხეთი სამუდამოდ დარჩა მისი სულის ღია ჭრილობად. პირველდაწყებითი განათლება ქართულ სამრევლო სკოლაში მიიღო. სწავლის გასაგრძელებლად ჯერ კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი პარიზში გაემგზავრა, სადაც სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და განათლებული და მაღალი ზნეობით სავსე დაბრუნდა სამშობლოში, თუმცა საქართველოს იმდროინდელმა ავბედითობამ აიძულა ისევ უცხოეთში გადახვეწილიყო, საიდანაც ცოცხალს აღარც ეღირსა დაბრუნება. თამარაშვილი იტალიაში დასახლდა და რომის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ამავე აკადემიის პროფესორად დაინიშნა. დოკუმენტური ფილმის მთავარი სათქმელი იმ დოკუმენტური მასალის ჩვენებაა, რომელიც მიხეილ თამარაშვილმა ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, ლონდონის არქივებში აღმოაჩინა. სიცილიაში მიაკვლია კრისტოფორ დე კასტელის სურათების ალბომს და ასევე დიდი წვლილი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის

შესახებ მასალების მოძიებაში. მისმა ფრანგულ ენაზე გამოცემულმა წიგნმა ,,საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (1910 წ. რომი.), დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპის სამეცნიერო წრეებში. აკაკი წერეთელი მოითხოვდა დაწერილიყო მონოგრაფია ამ დიდებულ მოღვაწეზე, ემზადებოდა კიდეც, რომში ჩასასვლელად და მიხეილთან შესახვედრად, თუმცა მეგობრების შეხვედრა აუხდენელ ოცნებად დარჩა. მიხეილ თამარაშვილი 53 წლის ასაკში,1911 წელს გარდაიცვალა, როცა დასახრჩობად განწირული იტალიელი მუშა გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა. ამ ტრაგედიას ფართოდ გამოეხმაურა იტალიური პრესა. რეზო თაბუკაშვილმა დიდხნიანი და წარმოუდგენლად დიდი მცდელობის შემდეგ მიაგნო მის საფლავს იტალიაში და ქართველი მამულიშვილის ნეშტი 1978 წელს საქართველოში იქნა გადმოსვენებული. დოკუმენტური ფილმის ბოლო კადრებიც ამ ისტორიულ პროცესს ასახავს, როცა დაკრძალვის ცერემონიალს უამრავ ქართველთან და ცნობილ სახეებთან ერთად, საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი-ილია მეორეც ესწრებოდა. მიხეილ თამარაშვილის ნეშტი დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

3.3.2. ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“

კინოდოკუმენტალისტიკა ანალიტიკური ხასიათით გამოირჩევა და მისი მთავარი საგანი დოკუმენტური მოვლენებით, ისტორიული და სამეცნიერო წყაროებით გამყარებული რეალობის ჩვენებაა. დოკუმენტური კინო მაყურებელს აწვდის ინფორმაციას აქტუალურ თემებზე, პიროვნებებზე და ფილმში ასახული მოვლენების გააზრება-გაანალიზებაში ეხმარება. დოკუმენტურ ფილმში უმჯობესია, მაყურებლის დაინტერესების მიზნით, მთავარი სათქმელი პირველივე წუთებში ითქვას. რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმი ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ 1985 წელს არის გადაღებული და ფილმის ხანგრძლივობა 1 სთ და 3 წუთია. დასაწყისში, ტიტრებში ვკითხულობთ : ,,ეს ფილმი მცირე რამ გახსენებაა დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ლტოლვილობის წლებისა. ჩვენ არ გვიცდია, შევჭიდებოდით მისი უკიდეგანო, ვერსად დასატევი და ვერასაწონი ნაღვაწის სრულყოფილ წარმოჩინებას“. (თაბუკაშვილი, დ/ფ. ,,საქართველოს

მეჭურჭლეთუხუცესი", 1985). რეზო თაბუკაშვილი ყველა თავისი ფილმის სცენარის ავტორია. ის რეჟისორული ,,თვალის“ გარდა, ამ ყველაფერს ხელოვნების ჭრილიდან უყურებს. მრავალფეროვნებით, საინტერესო მოვლენებით დატვირთული სცენარი ფილმს გაცილებით ყურებადს ხდის, რაც პროფესიონალიზმის დადასტურებაა. ფილმის პროლოგი-ყველა სიტყვა და კადრი იდეურად კრავს მთავარ სათქმელს. ,,ქართველი ხალხის შენამოქმედი უცხო მიწაზეც, არაერთხელ ქცეულა ღირსახსოვარ მოვლენად“...და სწორედ, ამ ღირსსახსოვარი მოვლენით - 1985 წელს პარიზის ,,გრან-პალედ“ წოდებული სასახლის საგამოფენო სივრციდან გადაღებული კადრებით იწყება ფილმი, რომლის საგამოფენო აფიშა სათაურით ,,ოქროს ვერძის ქვეყნის-საქართველოს სიძველენი“ გვამცნობს, რომ პარიზის სასახლე უნიკალური ქართული სიძველეების მასპინძელია. დოკუმენტურ კადრებში ფრანგ და სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ სტუმრებს-ისტორიკოსებსა და მეცნიერებს შორის ჩანან კალისტატე სალია, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვა ქართველი მოღვაწენიც. ფრანგი მეცნიერი ქალბატონი სტუმრებს აცნობს უნიკალური ქართული კოლექციის ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში და დამსწრეთ მოუთხრობს იმ ხიფათით აღსავსე გზაზე, რაც ეროვნულმა განძმა გადალახა. ფილმის სცენარის მიხედვით აქ სრულდება შესავალი ნაწილი და ჩნდება წარწერა-საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი-(ლტოლვილობა). პროლოგის შემდეგ იწყება ფილმის ძირითადი ნაწილი. ერთმანეთს ენაცვლებიან ისტორიული კადრები...ბათუმი....1921წელი...საქართველოს იმდროინდელი, აწ უკვე ,,ლტოლვილი“ მთავრობა უცხოეთში გასახიზნად ემზადებოდა და სახელმწიფო ხაზინასთან ერთად სამუზეუმო ეროვნული განძის გატანასაც აპირებდა. ეროვნული განძის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა. ფილმის კადრებში შავ ზღვაში გასული კრეისერი მოსჩანს, სადაც ქართული ეროვნული სიმდიდრეა დაბინავებული. ,,რაც მისხალ-მისხალ აგროვეს ექვთიმესნაირმა წმინდანებმა, ზღვამ სადღაც შორს გაიტაცა“. ისტორიული განძით დატვირთული გემი, სანამ საფრანგეთის ერთ-ერთ საპორტო ქალაქს მიაღწევდა, ჯერ თურქეთის სანაპიროს მიადგა. და ფილმის კადრებში ის ქართული სიძველეები მოჩანს, რომელიც ბედის უკუღმართობამ

თურქეთის ტერიტორიაზე მოაქცია: ხანძთა და შატბერდი, ბანა და იშხანი, ოშკი და ხახული... თურქეთიდან გემმა გეზი მარსელისაკენ აიღო...ფილმის შემდეგ კადრებში უკვე დომინირებს დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი მახასიათებლის-ფოტოგრაფიის, როგორც უტყუარი არგუმენტისა და ფაქტის ფართოდ გამოყენება. კერძოდ, ფილმის სცენარში მოქმედების განვითარება ხდება ექვთიმე თაყაიშვილის და მისი მეუღლის-ნინო პალტარაცკაიას ბიოგრაფიების წარმოჩენით. ფოტოგრაფიით შეჩერებული კადრები და კადრს მიღმა წაკითხული ტექსტი- ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების მარშუტის შესაბამისი სიზუსტით გავლას სთავაზობს მაყურებელს. პეტერბურგის სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ის იწყებს სამეცნიერო და არქეოლოგიურ საქმიანობას. შეუდარებლად მრავალფეროვანი იყო მისი მოღვაწეობის სფერო. ის იყო ისტორიკოსი და სამართალმცოდნე, არქეოლოგი და არქეოგრაფი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ეპიგრაფიკოსი, გეოგრაფი, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ შემორჩენილი ქართული ისტორიული ძეგლების მკვლევარი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1907 წელს მან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება და კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტი დააარსა. ექვთიმე თაყაიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც იმოგზაურა ტაო-კლარჯეთში -ფეხით შემოიარა და დაწვრილებით აღწერა საქართველოს მოწყვეტილი ძეგლები, შეისწავლა და შეაგროვა იქ არსებული დოკუმენტები.

დოკუმენტურ ფილმში ერთმანეთს ენაცვლება საფრანგეთამდე შორი გზის კადრები და ამ ფონზე იმ უნიკალური განძის ჩამონათვალი, რომლის მესვეურობაც განგებამ დიდ მამულიშვილს მიანდო: თამარის გულსაკიდი ჯვარი და წყაროსთავის ოთხთავი ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ მოჭედილი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე შექმნილი საოცრება-ახალგორის განძი და ბერთის ოთხთავი, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი და დავით კურაპალატის ჯვარი, ტბეთის ოთხთავი და დავით აღმაშენებლის ჯვარი, სტეფანწმინდის განძი და განძი გელათის, ხობის, მარტვილის მონასტრებიდან, ზუგდიდისა და თბილისის სასახლეებიდან, უძველესი ქართული ხელნაწერები და ქართული მინანქრული საგანძური. დოკუმენტურ ფილმში

გამოყენებული ისტორიული წყაროები და უტყუარი ლიტერატურა გვაცნობს განძის უცხო მიწაზე შენახვის სირთულეებით სავსე ისტორიას, თავისი საფრთხეებით და ცდუნებებით. პირველმა 13 წელმა შედარებით ,,მშვიდად“ ჩაიარა, მაგრამ ამ პერიოდში ბევრი ცდუნებაც გაჩნდა განძთან დაკავშირებით. ამერიკიდან ფილადელფიის საერთაშორისო გამოფენამ თხოვნით მიმართა ემიგრანტულ მთავრობას , რომ ნება დაერთოთ 6 თვით გამოეფინათ ამერიკაში ქართული სიძველეები. გამოფენის უფლებას თხოულობდა ლუვრიც-მსოფლიო მუზეუმთა შორის უპირველესი, მაგრამ ამერიკის მსგავსად, ლუვრმაც უარი მიიღო ქართველებისგან, რადგან ამით შეიძლებოდა საქართველოს საბოლოოდ დაჰკარგვოდა თავისი საუნჯე. ასევე უარი ეთქვათ ბრიტანეთის მუზეუმის წარმომადგენლებს, რომელთაც სურდათ ახალგორის განძიდან ერთი რომელიმე ნივთის შესყიდვა, სანაცვლოდ კი ჩვენი საუნჯის ფერადი კატალოგების დასტამბვას პირდებოდნენ და ბანკში მიბარებული განძის შესანახ თანხასაც თავად გადაიხდიდნენ. ახალგორის განძი, ჯერ კიდევ საქართველოში, ექვთიმე თაყაიშვილმა გადაარჩინა და კავკასიის მუზეუმს გადასცა. ყველაზე დიდი ცდუნება კი, მაშინ გაჩნდა, როცა პარიზში ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის დირექტორი ჩამოვიდა და დიდი თანხა შესთავაზა, თუ ქართველები მუზეუმს ჩვენს ტიხრულ მინანქრებს მიჰყიდდნენ. მასაც უყოყმანოდ ეთქვა უარი...

როგორც აღვნიშნეთ, დოკუმენტური ფილმისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სცენარს, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება. შთამბეჭდავი მუსიკის, საქართველოს ულამაზესი ბუნებისა და უნიკალური მონასტრების კადრების ფონზე მთავრდება ფილმის ერთ-ერთი ნაწილი და გრძელდება ემოციური ემიგრანტული ცხოვრების ჩვენება. მთელი ემოგრაციის პერიოდში ექვთიმე სულიერად ისევ იქ იყო-ზოგისთვის მცირე და მისთვის უდიდეს საქართველოში. ის უცხოეთის შორეთიდან ჭირისუფლობდა თავისი სამშობლოს.

ფილმის კადრები პარიზის იმდროინდელ ყოფას ასახავს. ლაღობს პარიზი, ცდუნებებით სავსე ქალაქი და ამ ფონზე ჩნდება ლევილის ქართული კერა.

კონტრასტი პარიზის ფუფუნებით ცხოვრებასა და ლევილის მკვიდრი ემიგრანტების ემოციურ და ნაცრისფერ ყოფას შორის თვალში საცემია. ქართულმა ემიგრანტულმა მთავრობამ ლევილში შეიძინა ,,შატოდ“ წოდებული შენობა და მცირე მამული.ლევილის კერამ მალე საკუთარი ქართული სასაფლაოც გაიჩინა. პარიზის უსასრულო დღესასწაულის მახლობლად, სიდუხჭირეში ცხოვრობდა ლტოლვილი კაცი, რომელსაც ერთ დღეში შეეძლო გამხდარიყო უმდიდრესი ადამიანი და მისი მშვენიერი მეუღლეც ღირსეულად ეზიარებინა პარიზის გაფაქიზებული ცხოვრებისთვის, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილს წმინდანების მოწამებრივი გზიდან გადახვევა არ შეეძლო. მას ერჩევნა, მოევლო თავის მარჩენალი ფრანგული თხისათვის, რომლის რძე მისთვის და მისი მეუღლისთვის, ხშირად, მთელი დღის ერთადერთ რაციონს შეადგენდა. ექვთიმე თაყაიშვილს თავისი მოწამეობრივი გზიდან არც მაშინ გადაუხვევია, როცა ცხოვრებამ ურთულესი განსაცდელი მოუვლინა უსაყვარლესი მეუღლის ავადმყოფობით და შემდეგ გარდაცვალებით.

1944 წლის 23 ნოემბერს შარლ დე გოლმა გასცა განკარგულება განძის საქართველოში დაბრუნების შესახებ....აღსრულდა! ეროვნული საუნჯე თავის ფესვებს 1945 წლის 11 აპრილს დაუბრუნდა...დიდი ექვთიმე კი თავის ფასდაუდებელ ღვაწლს ასე თავმდაბლად აფასებდა : მე მხოლოდ ქართველის მოვალეობას ვასრულებდი-ო.

ფილმის კულიმინაციაა ფინალი-დოკუმენტური კინოს ყველა მახასიათებლით და განსაკუთრებით-მუსიკით და ხმით. ხმის როლი უმნიშვნელოვანესია დოკუმენტურ კინოში და ეკრანული გამოსახულება ხმის გარეშე ყურებადი ვერანაირად იქნება. ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ მთავრდება რეზო თაბუკაშვილის საოცარი ხმით წაკითხული მადლიერების მონოლოგით, რომელიც მაყურებლის მიერ, ერის სახელით ნათქვამ ღირსეულ მადლობად აღიქმება ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესისადმი“, რომლმაც თავისი თავდადებით შეძლო ქართველი ერისთვის ყველაზე დიდი საუნჯის -ქართული ეროვნული განძის გადარჩენა და სამშობლოსთვის დაბრუნება. ,, ეს განძი საქართველოს ისტორიის

ხილული დადასტურება იყო და მსოფლიო მნიშვნელობის არა ერთ ნიმუშს შეიცავდა“. (უბილავა, განძეულის გუშაგი, 1980).

3.3.3. ,, შორიელთა სიახლოვე“

რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმი ,,შორიელთა სიახლოვე“ 1987 წელს არის გადაღებული. მისი ხანგრძლივობა 1 სთ და 6 წუთია. ფილმი სამი ნაწილისგან შედგება : **,,მიუნხენიდან საქართველოში“; ,,პარიზიდან საქართველოში“; ,,ბუენოს აირესიდან საქართველოში“**. თითოეული ნაწილი 22 წუთს გრძელდება.

ნებისმიერი ჟანრის კინოს სჭირდება ინფორმაცია, რომელიც ფილმში უნდა აისახოს, სცენარი დაიწეროს და კადრი მეტყველი გახადოს. დოკუმენტურ კინოში გამოყენებული ლიტერატურა ცხადი და უტყუარი უნდა იყოს. ავტორი უნდა იმოწმებდეს რამდენიმე წყაროს- სამეცნიერო ლიტერატურას, ისტორიკოსთა ნაშრომებს, დოკუმენტურ მასალებს. ინფორმაციის მრავალფეროვნება დოკუმენტური ფილმის ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. ასეთი ინფორმაციული მრავალფეროვნებით და საინტერესო სცენარით გამოირჩევა დოკუმენტური ფილმი **,,შორიელთა სიახლოვე“,** რომლის სამივე ნაწილს ორიგინალური სცენარით მოფიქრებული საინტერესო პროლოგი აერთიანებს. ფილმი იწყება მაგიდაზე გადაფარებული ქართული სუფრის კადრით, რომელიც მარტო სუფრა კი არ არის,არამედ სიმბოლოდ ქცეულ განძად გვევლინება. ამ უცნაურად გრძელ და ჭრელ სუფრაზე 1200-ზე მეტი ავტოგრაფი იყო აბრეშუმის ძაფით ამოქარგული. კადრი ჩერდება თითოეულ საამაყო სახელზე-ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, არტურ ლაისტი და სოფრომ მგალობლიშვილი, შიო არაგვისპირელი და ანტონ ფურცელაძე, დუტუ მეგრელი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ზაქარია ფალიაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, აქვსენტი ცაგარელი, კიტა აბაშიძე, იაკობ ნიკოლაძე, თედო სახოკია და სხვები...ამ დიდებულ ჩამონათვალს კიდევ ემატება დოკუმენტური ფილმის სამივე ნაწილში წარმოდგენილი საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების სახელები, რომლებიც ისტორიას თავიანთი ღვაწლით შემორჩნენ. ამდენ დიდებულ ადამიანს

ერთ სუფრასთან თავი მოუყარა ქველმოქმედმა და ფრიად განათლებულმა ქალბატონმა-მაკინე ამირეჯიბმა, რომლის ქველმოქმედების შესახებ ილია ჭავჭავაძის ,,ივერია“ არაერთხელ წერდა და რომლის წყალობით ცხოვრებაში დაკვალიანებული ადამიანების სია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო...სწორედ მაკინე ამირეჯიბის სუფრაზე იყო ამოქარგული ქიქოძეთა ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენლის, ილია ჭავჭავაძის მეგობრის - ექიმ ტიტე ქიქოძის ავტოგრაფი, რომლის ვაჟს-ვანო ქიქოძეს ეძღვნება დოკუმენტური ფილმის **,,შორიელთა სიახლოვის“** პირველი ნაწილი- **,,მიუნხენიდან საქართველოში“.** ფილმის ეს ნაწილი გერმანიაში მოღვაწე ქართველი ფოტოგრაფის და კოლექციონერის -ვანო ქიქოძის ღვაწლზე მოგვითხრობს, რომლის ცხოვრების გზა საქართველოდან მიუნხენამდე - თავისი სამშობლოს და ერის მსახურებით იყო შთაგონებული. ვანო ქიქოძე 1905 წელს დაიბადა საქართველოში, ცნობილი ექიმის - ტიტე ქიქოძის ოჯახში. თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად გერმანიაში გაემგზავრა და სწავლა ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო. შემდეგ მოღვაწეობა მიუნხენში გააგრძელა. მან 60-იან წლებში თურქეთში იმოგზაურა და 700-ზე მეტ ფერად სლაიდზე აღბეჭდა ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები-ბანა, ოშკი, იშხანი, ოპიზა, ხახული, ოთხთა, ბერთის მონასტერი და სხვა, რომლებიც ავბედითობის გამო საქართველოს მოსწყდნენ და თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩდნენ. ეს ეკლესია-მონასტრები VIII, IX, X, XI საუკუნეების ქართული ისტორიულ-კულტურული ძეგლებია, სადაც მოღვაწეობდნენ გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მთაწმინდელი, ათანასე ოპიზელი, ბეშქენ და ბექა ოპიზრები და სხვანი. საბერძნეთში ათონის მთაზე ინახება ოშკის ბიბლია, რომელიც 978 წლით თარიღდება. (ვ.ბერიძე, ,,ძველი ქართული ხუროთმოძღვრება", 1974).

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ფერად ფირებზე შემონახული ეს უნიკალური ფოტო-მასალა ვანო ქიქოძემ ქართული, აღმოსავლური და ევროპული იარაღის მდიდარ კოლექციასთან ერთად საქართველოს უსახსოვრა.ვანო ქიქოძე 1988 წლის 30

ივნისს გარდაიცვალა და ერთი წლის შემდეგ მისი ნეშტი საქართველოში იქნა გადმოსვენებული.

,,მიუნხენიდან საქართველოში“ -იწყება კადრებით 80-იან წლებში იტალიაში გამართული ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმიდან, სადაც ქართულ დელეგაციას მიუნხენელი ქართველი- ვანო ქიქოძეც შეუერთდა. მან თანამემამულეებს გაანდო, რომ სხვადასხვა წლებში გადაღებული ჰქონდა სლაიდები იმ ქართული ძეგლებისა, რომლებიც ავბედითობის გამო საშობლოს მოსწყდნენ. მას ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გადაღებული ჰქონდა არა მარტო -ოშკი და ხახული, ზარზმა და იშხანი, არამედ ისეთი ძეგლებიც, რომლებიც ან სავსებით, ან თითქმის აღარ არსებობენ და რომელთა აღწერისთვის თვით ექვთიმე თაყაიშვილსაც არ მიუწვდა ხელი ტავის დროზე. ამ უნიკალური კოლექციის შემქმნელი იმედოვნებდა, რომ სლაიდებს ალბომებად დაბეჭდავდა უცხოეთში. ვანო ქიქოძე სლაიდებთან ერთად წლების მანძილზე აგროვებდა ძველი ქართული, აღმოსავლური თუ ევროპული იარაღების კოლექციას და ამ იარაღების ფოტო ალბომიც ჰქონდა შექმნილი. ფილმში ნაჩვენებია რეზო თაბუკაშვილისა და ფილმის გმირის შეხვედრის კადრები მიუნხენში, ვანო ქიქოძის ოჯახში. უნიკალური მასალა-700 სლაიდი, იარაღების არაჩვეულებრივ კოლექციასთან ერთად, ვანო ქიქოძემ უანგაროდ გადასცა სამშობლოს. ფილმის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ნაწილია, როცა რეჟისორი რამდენიმე წამით კადრს აჩერებს ჩამქრალი ბუხარსა და იარაღების კოლექციის ცარიელ კედელზე. ,,მთელი ცხოვრების ნაღვაწის ერთბაშად შელევის კადრი“,თუმცა სიამაყის განცდით სავსე, რომ ყველაზე ძვირფასს-სამშობლოს უბრუნდება ეს ნაღვაწი. უნიკალურმა მასალამ და კოლექციამ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაიდო ბინა.

დოკუმენტური ფილმის - **,,შორიელთა სიახლოვის“** მეორე ნაწილია **,,პარიზიდან საქართველოში“.** ფილმის ეს 22 წუთიანი მონაკვეთი რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით არის დატვირთული. ფილმში ნაჩვენებია პარიზში,სენის სანაპიროზე მდებარე ბუკინისტური მაღაზიიდან 3 ქართული ხელნაწერის შეძენის კადრები , რომელთაგან ერთ-ერთი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ხელნაწერი აღმოჩნდა,

ასევე რეზო თაბუკაშვილის შეხვედრა ნიკო ბურის სახელით ცნობილ ნიკო ბაგრატიონის ქალიშვილთან -ირენ ბაგრატიონთან, რომელიც რამდენიმე ისტორიული ნივთის მფლობელი იყო. კადრში ერთმანეთს ენაცვლებიან ეს სიძველეები-ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, რომის პაპის ნაჩუქარი ნიჟარა, ბაგრატიონთა საგვარეულო თასი , უკანასკნელი დედოფლის მარიამის ნაქონი საყურეები, ვერსალში სულხან-საბა ორბელიანისათვის ლუდოვიკო XIV-ის მიერ ნაჩუქარი სამაჯური. კადრს მიღმა ტექსტი კი ნიკო ბურის ბიოგრაფიას აცნობს მაყურებელს, რაც ფილმს ამრავალფეროვნებს და უფრო საინტერესოს ხდის. დოკუმენტური ფილმის ამ ნაწილის ბოლო კადრებში ფილმის ავტორი ხვდება სახელგანთქმული ქართველი ექიმის-ვახტანგ ღამბაშიძის შვილიშვილებს, რომელთა პარიზულ ბინაში საინტერესო საოჯახო არქივი ინახებოდა. ვახტანგ ღამბაშიძის მიერ გადაღებული აკაკი წერეთლის დაკრძალვის უნიკალური კადრები სხვიტორიდან მთაწმინდამდე, რეზო თაბუკაშვილის დიდი მცდელობით, კალისტრატე და ნინო სალიების არქივთან ერთად, საქართველოს დაუბრუნდა.

დოკუმენტური ფილმის,,შორიელთა სიახლოვის“ მე-3 ნაწილია- **,,ბუენოს-აირესიდან საქართველოში“.** ფილმში მოთხრობილია საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი რელიქვიის-ოქროსა და ვერცხლის მკედით ნაქარგი, სიონის ტაძრის საკურთხევლის გადასაფარებლის სამშობლოში ,,დაბრუნების“ შესახებ, რომელიც მე-19 საუკუნის შუა ხანებში გაიტაცეს სიონის ტაძრიდან. ეს გადასაფარებელი 1773 წელს მოუქარგავს და სიონისათვის შეუწირავს დავით III-ის დედას-ქეთევანს, მეფე ერეკლეს მამიდაშვილს. ფარდაგი იმითაც არის უნიკალური, რომ მასზე გამოსახულია გენეოლოგიური ხე, რომლიდანაც მომდინარეობს ღვთისმშობელი მარიამი, ძველი აღთქმის მეფენი და წინასწარმეტყველნი.

ფილმის ეს ნაწილი, რომელიც ასევე 22 წუთი გრძელდება, დოკუმენტური კადრებით, ფოტოგრაფიით, შესაბამისი წყაროებიდან დაზუსტებული ტექსტით მოიცავს ინფორმაციას იმ გზის შესახებ, რომელიც ამ ფარდაგმა საქართველოდან ბუენოს-აირესამდე გაიარა და ბევრი წლის შემდეგ, ღირსეულ მამულიშვილთა

წყალობით, კვლავ საქართველოს დაუბრუნდა. ფილმში ვეცნობით აკაკი და თამარ პაპავების ოჯახის ისტორიას, რომლებმაც მე-20 საუკუნის 40-იან წლებში რის ვაი-ვაგლახით მოაგროვეს თანხა, რათა ერთ-ერთი სომეხი კოლექციონერის ქვრივისგან, 20000 $ გამოესყიდათ ეს უნიკალური ნივთი. 1950 წელს ოჯახი არგენტინაში გადასახლდა და რელიქვია, მათი ანდერძის მიხედვით, შთამომავლებმა 80-ანი წლების ბოლოს დაუბრუნეს საქართველოს.

გამრავალფეროვნებული სცენარით მდიდარი დოკუმენტური ფილმი, რომელსაც შთამბეჭდავი მუსიკალური გაფორმება ახლავს, ყველა იმ ადამიანის შესახებ გვაცნობს, რომლებიც პაპავების და მათი ქალიშვილების ოჯახებთან ერთად ამ სიმდიდრის საქართველოსთვის არ დაკარგვის კეთილშობილურ საქმეში იყვნენ ჩართულნი- გრიგოლ რობაქიძე, მიხაკო წერეთელი, თვით ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები. ემოციურია ფილმის ფინალი, სადაც რელიქვიის საქართველოში დაბრუნების კადრებია ნაჩვენები. სანამ ხელოვნების მუზეუმში დაივანებდა, საუკუნე ნახევრის განშორების შემდეგ, საუნჯემ თავის ნაბინავარზე-სიონის საკათედრო ტაძარში გაათია ღამე. საქართველოს პატრიარქის, ილია მეორეს მიერ, განძის საქართველოში დაბრუნების აღსანიშნავად სამადლობელი მსახურება ჩატარდა

დასკვნა და რეკომენდაციები

მოცემულ ნაშრომში განვიხილეთ ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ეტაპები დაარსებიდან-მე-20 საუკუნის ბოლომდე. ვისაუბრეთ დოკუმენტური კინოს იმ ძირითად მახასიათებლებზე, რომლებიც ასე ზუსტად და პროფესიონალურად არის გამოყენებული რეზო თაბუკაშვილის ფილმებში, რომლებიც ეროვნული მოძრაობის დასაწყისის სიმბოლოდ იქცა 80-იან წლებში. მან ქართული დოკუმენტალისტიკა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და ყველაზე სწორი შეფასება , რაც რეზო თაბუკაშვილის შესახებ დაწერილა, არის ფრაზა: ,,ის თანდათან თავისი ფილმების გმირებს დაემსგავსა“....

მისი ფილმები მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ნებისმიერ ეპოქაში, თუნდაც ცენზურის პირობებში, შექმნა ნამდვილი, მართალი დოკუმენტური კინო. კინო, სადაც ავტორი და რეჟისორი, კამერის მიღმა ნეიტრალური დამკვირვებლის როლს კი არ თამაშობენ, არამედ საინტერესო სცენარით, მრავლისდამტევი ტექსტით, კადრით, ხმით, ფოტოგრაფიით, მუსიკალური გაფორმები იმ პროცესის მონაწილე ხდებიან, რაც ნამდვილ დოკუმენტურ კინოს ქმნის და რაზეც თაობები იზრდებიან.

მოცემულ ნაშრომში რეზო თაბუკაშვილის ფილმებთან ერთად ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ეტაპები იყო მიმოხილული. ამ ისტორიამ დაგვანახა, რომ ქართული შთამბეჭდავი კინემატოგრაფი, დოკუმენტური კინოდან იწყება. თემასთან დაკავშირებული კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები:

1)ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა, რომ ქართულ დოკუმენტურ კინოში სწორხაზოვნებისა და ჟანრების მრავალფეროვნების სიმცირის გამო დომინანტია ისტორიული ფაქტის ან მოვლენის ,,გაცოცხლება"- გამართლდა.

2)სწორხაზოვნების პრობლემა და თემების გამრავალფეროვნების აუცილებლობა ჯერ კიდევ აქტუალურია ქართულ დოკუმენტურ კინოში. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ დოკუმენტურ კინოში ისტორიული და რელიგიური თემების გვერდით გვხვდება, უახლესი ისტორიიდან-აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებისა და ომის შემდგომი პერიოდის ასახვა, ქართველ ემიგრანტთა, მიუსაფარ ბავშვთა ცხოვრების ჩვენება-სწორხაზოვნების და თემების გამრავალფეროვნების აუცილებლობა ჯერ კიდევ აქტუალურ პრობლემად რჩება.

3)ქართულ დოკუმენტურ კინოს სჭირდება ახალი ფორმების შექმნა და მსოფლიო დოკუმენტურ კინოში არსებული ტენდენციების გაზიარება.

4)მნიშვნელოვანია სამეცნიერო-პოპულარული ჟანრების განვითარება.

5)ძირითადად ნარატიულ ფორმატში თავსდება დოკუმენტურ-ქრონიკალური მასალები, საილუსტრაციო კადრები, ფოტოები, ინტერვიუები და სხვა. ქართულმა დოკუმენტურმა კინომ უპირატესობა ტრადიციულ ფორმატში მუშაობას მიანიჭა, თუმცა

გვხვდება მარტივი ფორმებიც და ამ მხრივ საჭიროა მეტი ცვლილებების განხორციელება

თანამედროვე მსოფლიოში დოკუმენტური კინო დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსთან. დოკუმენტურ ფილმებს მულტიკულტურული ღირებულება გააჩნია თანამედროვე საზოგადოებაში. კინოს ისტორიამ კარგად იცის, რომ ხშირად ეროვნული კინემატოგრაფიის აღორძინება სწორედ დოკუმენტური კინოს გამოცოცხლებით იწყება, სადაც კამერის წინ ხშირად მსახიობები კი არა, საზოგადოების წიაღიდან წამოსული ადამიანები ,,თამაშობენ". ეს მათი გულწრფელი ,,თამაშია", საკუთარი ბუნებიდან, აღზრდიდან, ტრადიციებიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. და რაც უფრო ნამდვილია დოკუმენტური კინო, ეს თამაშიც ეკრანზე, მით უფრო საოცარი უშუალობით წარმოგვიდგება.

და ბოლოს, ის ფაქტი, რომ როგორც მსოფლიო, ასევე ქართული კინოს ისტორია დოკუმენტური კინოდან იწყება, კინემატოგრაფიის ამ ჟანრს განსაკუთრებულ ხიბლს და მნიშვნელობას სძენს.

ბიბლიოგრაფია

1..Grierson, J. (1931). *Documentary film.* p.p 57-64.

2. Ward, p. (2014). *Shot Composition in Film and Television*.

3. Storey, J. (1996). *Cultural Stadies and the study of Popular Culture*. Edinburg University Press. p.p 201-215.

4. ბაქრაძე, აკ. (1989*). კინო და თეატრი.* თბილისი: ,,ხელოვნება“. 115-171

5.დოლიძე, ზ. (2016). *მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორია-დოკუმენტური კინო 30-40-იან წლებში.* თბილისი: ,,კენტავრი“. 71-83.

6. კალანდარიშვილი, ლ. ,ლევინაძე, მ. (2016). *კინოკრიტიკა და თეორია ფილმის ანალიზის საფუძველზე.* თბილისი.

7. მახარაძე, ი. (2014). *დიადი მუნჯი.* თბილისი: ,,სულაკაურის გამომცემლობა“. 12.

8. ლევინაძე, მ. (2010*). რეკონსტრუირებული რეალობა და რეალიზმი.* თბილისი.

9. საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი (2001). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

10. ლომსაძე, შ. (1978). *მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი.* თბილისი.

11. თაბუკაშვილი,რ. (1985). დ/ფ. ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“.

12. უბილავა, ე. (1980). *განძეულის გუშაგი.* თბილისი. 132-138.

13. ბერიძე, ვ. (1974). *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება.* თბილისი.